საქართ. შემარც. სოც.-ფედ. ხარეჯ. პარტია

წელიწადი [illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან. [illegible]
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 441 ოთხშაბათი, აპრილის 11 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

## მორიგი ამოცანა

უკანასკნელ დროს საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას იპყრობს ნაციონალური საკითხი. შეცდომანი, რომელიც დაშვებული იყო რესპუბლიკების დაკავშირების დროს, დღეს ნათელი გახდა მათთვისაც, ვინც კავშირის არსებული ფორმები შეიმუშავა.

თვით ურწმუნონიც ხედავენ, რომ ნაციონალურ კითხვას გადილებით მეტი სიფრთხილე ესჭირდება, ვიდრე დღემდე ეგონათ.

დღეს რუსეთის კომპარტიის ცეკასაგან მიღებულია საზელმძღვანელოდ ის აზრი, რომ საჭიროა შექმნა ისეთი ორგანოსი, სადაც ერთა თანასწორ წარმომადგენლობას ექნება ადგილი და რომლის ფუნქცია იქნება ნაციონალურ ინტერესთა დაცვა.

დღეს, როდესაც კაპიტალისტური მსოფლიოს კონტინენტზედ გაცხარებული ვაჭრობაა პატარა ერთა ხარჯზედ, როდესაც გერმანეთიც კი საოკუპაციო ობიექტად ქცეულა საფრანგეთის გაავეთრებული იმპერიალიზმის, საბჭოთა რესპუბლიკები მეგობრულის ურთიერთობით ცდილობენ იმ შეცდომების გამოსწორებას, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

ჩვენთვის აშკარა იყო და დღესაც ცხადია, რომ მრავალი შეცდომებია ჩვენს ირგვლივ და ჩვენს გარშემო, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ეს შეცდომანი გამოსწორდება თვით ცხოვრების კარნახით.

ეროვნული საკითხის სფეროში მარქსისტებმა ნიჰილიზმით დაიწყეს და დღეს ზოგი მათგანი უკიდურეს შოვინისტად და იმპერიალისტად იქცა. კომუნისტური პარტია რეალურ პირობებს უწევს ანგარიშს და, მიუხედავად მისი თეორეტიული შეხედულებისა, რომელიც პრინციპიალურად არ იღებს ნაციონალურ საკითხს, მაინც წინ მიდის და თან და თან ემორჩილება ცხოვრების მოთხოვნილებას.

როდესაც ჩვენი მთავარი დებულება, ეგალიტარიზმის პრინციპი, არ დაედო საფუძვლად საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირებას, ჩვენ გვეუბნებოდნენ „მეზობლები“ მარჯვნიდან, რომ ჩვენი მუშაობა ამის შემდეგ კარგავს თავის რაზონს და არა აქვს გამართლება.

ასეთი პოლიტიკური ფილოსოფია გასაგებია მათთვის, ვინც მხოლოდ სიტყვით არის საბჭოთა წყობილების დამცველთა რიგებში, ზოლო გულით კი იმ ძველი წყობილების ნიადაგზე სდგანან, რომლის წინააღმდეგ არის მიმართული რევოლუციის პროცესი.

ბევრი რამ შეიძლება ამიერიდანაც გადაწყდეს არა ისე, როგორც ეს ჩვენ გვესახნია საჭიროდ, მაგრამ შეცდომანი და დეფექტები სისტემატიური ბრძოლით, მითითებით და თვით ცხოვრების კარნახით გამოსწორდება.

ასეთი ძვირფასი დღეს ერთა თანასწორ უფლებიანობის მიღება თვით კომუნისტური პარტიის მიერ.

მორიგ ამოცანათ არის მიჩნეული ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც „დიდი და გაუყოფელი რუსეთის“ იდეით ხელმძღვანელობს და ანგარიშს არ უწევს მცირე ეროვნებათა ნაციონალურ ინტერესებს.

საბჭოთა წყობილებამ უნდა დაუმტკიცოს მთელ მსოფლიოს, რომ იგი მტკიცეთ იცავს ერთა ინტერესებს და არავის მისცემს უფლებას შეავიწროვოს ერთა თავისუფალი განვითარება.

## რადიო დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

**უკმაყოფილება პუანკარეთი იზრდება**

**ბერლინი.** 9 აპრ. პარასკევს ლუშერი დაბრუნდა ლონდონიდან პარიზში. უკეთებს რა კომენტარიუმს ლუშერის ლონდონში გამგზავრებას „ფორვერსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგვცემს რომ „ეკოდე პარი“ აღნიშნავს, რომ ლუშერის ლონდონში გამგზავრება უმთავრესად გამოწვეულია პუანკარეს გარშემო შექმნილ უკმაყოფილებით, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ფართო ხასიათს ღებულობს პუანკარეს წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებენ როგორც უკიდურესი ნაციონალისტები ისე ელისეის სასახლესთან ახლო მდგომი წრეები.

**ოკუპანტების სამხედრო სასამართლოები**

**ბერლინი.** 9 აპრ. საოკუპაციო სასამართლომ გეკლინგაუზენში ესსენის ობერ ბურგომისტრის შეფერიმს პროცესის გადასინჯვის შემდეგ უკანასკნელს 3 წლის ციხის მაგიერ მიუსაჯა 3 წლის ციხე და ჯარიმა 6 მილ. მარკამდე.

— ვარდენის სამხედრო სასამართლომ ესსენში დაპატიმრებულ 7 ნაციონალისტს მიუსაჯა 15 წლის ციხე და ჯარიმა ხუთ მილიონ მარკის რაოდენობით.

— ბონის სამხედრო სასამართლომ კობლენცის და სხვა ადგილების ფოსტის მოხელეებს მიუსაჯა 3-დან 5 წლამდე ციხე და ჯარიმა 5 მილ. მარკის რაოდენობით.

**ფრანგების ახალი მტაცებლობა**

**ბერლინი.** 9 აპრ. მიულგეიმში ფრანგებმა დაიკავეს სტამბა, რომელიც ამზადებდა ბანკნოტებს ბერლინის რეიხს ბანკის დაკვეთით. სტამბა გაქურდეს და გაიტაცეს საფოსტო და ფულის ნიშნები 2 მილიარდის რაოდენობით.

**3 მილიარდი მარკის მითვისება**

**ბერლინი.** 9 აპრ. ვორმსის მახლობლად 6 აპრილს ფრანგებმა ხელთ იგდეს ავტომობილი სამი მილიარდი მარკით, რომელიც ეკუთვნოდა გერმანიის რეიხს ბანკს.

სულ ფრანგებმა ოკუპაციის დროს განმავლობაში მიითვისეს ორას-აცდათი მილიარდ მარკამდე.

**ხელები ზევით**

**ბერლინი.** 9 აპრ. ქალაქ ემერიხის ბელგიელ კომენდანტის ბრძანებით დაპატიმრებულია 15 გამვლელი, რომელთა შორის იყვნენ რამოდენიმე ჰოლანდიის ქვეშევრდომებიც. გამვლელთ დაპატიმრებულია იმ ბრძანების დარღვევის გამო, რომელიც ძალით აკრძალულია ჯიბეებში ხელების ჩაწყობა.

**საიდუმლო სხდომა**

**ბერლინი.** 9 აპრ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად სტასბურგში ხდება რეინზე გემთა მიმოსვლის კომისიის საიდუმლო სხდომები, ამ სხდომებზე გერმანიის დელეგატები არ ესწრებიან,

**ბრიტანეთის ზონის დაკეტვა.**

**ბერლინი.** 9 აპრ. კერმელკირხენიდან იტყობინებიან, რომ კელნის ახლო მდებარე სიმაგრეებზე უკანასკნელი მისავალის დახურვით ფრანგების მიერ საბოლოოდ დაკეტილია ბრიტანეთის ზონა.

**ახალი ძარცვანი**

**მოსკოვი.** 9 აპრ. ფრანგების მიერ დაკავებულია ბოხუმის ბანკი სადაც კონფისკაცია უყვეს 754 მილ. მარკას. ბანკის დირექტორი დაპატიმრებულია.

საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებულია აგრეთვე გრონგერაუს შაქრის ქარხანა. დარმატადცის მახლობლად ქარხანაში კონფისკაცია უყვეს ჭარხლის მთელ მარაგს.

**ლუშერის გეგმა**

**მოსკოვი.** 9 აპრ. განადგურებულ ოლქების ყოფილი მინისტრი ლუშერი რომელიც სურთ დასახელონ საფრანგეთის პრემიერის თანამდებობაზე ესაუბრა ინგლისის კაბინეტის წევრებს. საერთო აზრით ლუშერის პოლიტიკა მიმართულია რეინის დემილიტარიზაციისაკენ ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ, პრუსიელ მოხელეების განდევნისაკენ, რეინის ოლქში ავტონომიურ რესპულიკის დაარსებისაკენ და და გერმანიის რეინის გზებზე რეინის ოლქში ერთა ლიგის კონტროლის დაწესებისაკენ.

**მზადდება ინგლის-ფრანგების დაახლოვება**

**მოსკოვი.** 9 აპრ. გაზ. „ფორვერსტი“ დასკვნებს უკეთებს ლონდონში ლუშერის გამგზავრებას და აღნიშნავს ინგლისს და საფრანგეთს შორის მზადდება შეთანხმება გაზეთის აზრით ლუშერი ამზადებდა ნიადაგს საფრანგეთის და ინგლისის შეთანხმებულად გამოსვლისათვის სარეპარაციო საკითხში.

**ინგლისის პალატა ლუშერის ლონდონში ყოფნის შესახებ.**

**ლონდონი.** 10 აპრ. თემთა პალატის მუშაობის განახლების შემდეგ პირველ სხდომაზე სწარმოებდა კამათი ლუშერის ლონდონში ყოფნის შესახებ. დამოუკიდებელმა ლიბერალმა პოლკოვნიკმა ვედვუდმა მისცა ბონარ ლოუს შეკითხვა, ჰქონდა თუ არა მას ლუშერის ლონდონში ყოფნის დროს უკანასკნელთან რაიმე საუბარი რურის საკითხის გადაჭრის, რეინლანდის ინტერნაციონალიზაციის და აგრეთვე გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის შესახებ. ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ ამის შესახებ მას ლუშერთან ჰქონდა საერთო ხასიათის საუბარი.

დამოუკიდებელმა ლიბერალმა კენვორტიმ შეჰკითხა ბონარ ლოუს: მართალი არის ის ცნობები, რომ უკანასკნელმა ლუშერთან საუბრის დროს მოიწონა საფრანგეთის პოლიტიკა რურის საკითხში? ბონარ ლოუმ უპასუხა, რომ ეს საკითხი არ იყო დასმული. კენვორტიმ ხელმეორედ შეჰკითხა „მაშასადამე ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სიყალბეა ინგლისის და საფრანგეთის პრესის ცნობები იმის შესახებ, რომ ინგლისი იწონებს საფრანგეთის პოლიტიკას რურის საკითხში?“ ბონარ ლოუმ უპასუხა რომ მას არც ერთი ასეთი ცნობა არ წაუკითხავს.

## უცხოეთი

**მორიგდებიან გერმანიის ხარჯზე.**

**პარიზი,** აპრილის 10. „მატენის“ წინასწარმეტყველებით მომავალ კვირაში ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის შორის დაიწყება მოლაპარაკება იმ მიზნით, რომ შექმნან ერთიანი ფრონტი კომპრომისულ საფუძვლებზე, რომლებიც დააკმაყოფილებენ საფრანგეთის სურვილს მიიღოს კონტრიბუცია გერმანიისაგან და ინგლისის სურვილს მიიღოს გერმანიისაგან საშვალებანი ამერიკისადმი თავისი ვალების გადასახდელათ. გაზეთის ცნობით პუანკარემ მიმართა ტენისს და ქასპარისს თხოვნით პარიზის მოლაპარაკების საჩქაროთ განახლების შესახებ.

**თათბირი პარიზში.**

**ბერლინი,** აპრილის 10. „პტი პარიზიენის“ ცნობით, პარასკევს ტენისი და ქასპარი ბრიუსელიდან მიემგზავრებიან პარიზში პუანკარესთან სათათბიროთ. „ნიუიორკ გერალდის“ ცნობით ამ თათბირს დაესწრება აგრეთვე ლუშერიც.

**იტალიის რეცეპტით.**

**ბერლინი,** აპრილის 10. „პტი პარიზიენის“ ცნობით პუანკარეს განზრახული აქვს შეუდგეს ახალ საკონტრიბუციო გეგმის გამომუშავებას იმ საფუძვლებზე, რომლებიც წარადგინა იტალიის მთავრობამ. ეს უკანასკნელიც მიიღებს აგრეთვე მონაწილეობას წინასწარ მუშაობაში.

**შერიგების წინ.**

**ბერლინი,** აპრილის 10. „ობსერვესი“ სწერს: თუმცა ლუშერის მიერ წარმოდგენილი კომპრომისები, ინგლისსა და საფრანგეთის შორის განხეთქილების თავიდან ასაცილებლათ, მიუღებელია ინგლისის მთავრობისათვის, მაგრამ ისინი, ყოველ შემთხვევაში, გვაძლევენ საშვალებას განვაახლოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც მიუცილებელია ყოველგვარ შერიგების წინ.

**ლუშერი მიემგზავრება ლონდონში.**

**ბერლინი,** აპრილის 10. „ივნინგ სტანდარტ“ ცნობით ლუშერი ახლო მომავალში მეორეთ მიემგზავრება ლონდონში.

**სჯიან ბოიკოტისაკენ მოწოდებისათვის.**

**პარიზი,** აპრილის 10. ესენის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა ესენის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს 6 თვის საპყრობილე და 100.000 მარკა ჯარიმა იმისათვის, რომ მან ხელი მოაწერა მოწოდებაზე, რომელიც მოუწოდებდა ესენის ვაჭრებს ბოიკოტი გამოეცხადებიათ ოკუპანტებისათვის.

**მუშები სწყვეტენ კავშირს ბურჟუაზიასთან.**

**პარიზი,** აპრილის 10. დორტმუნდში შესდგა მუშათა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც ორატორები აცხადებდნენ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ესენში მომხდარ სისხლის მღვრელ ამბებისათვის, ოკუპანტების გარდა, აწვება აგრეთვე გერმანიის ნაციონალისტებს. კრებამ მიიღო კომუნისტ-ორატორების წინადადება, რათა მუშებმა არ მიიღონ მონაწილეობა „ნაციონალურ ერთობა“-ში ოკუპანტების მიმართ. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღო ტისსენის წარმოებათა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტმა მიულგეიმში.

**სოციალ-გამცემლების ახალი ინტერნაციონალი**

**მოსკოვი.** 9 აპრილი. შემთანხმებელთა ახალ ინტერნაციონალს, რომლის შედგენა განზრახულია ჰამბურგის კონგრესზე 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების გაერთიანებით, ექნება „სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის სახელწოდება. ჰამბურგის და აგრეთვე შემდეგ კონფერენციებზე ინგლისს და გერმანიას ექნებათ დათმობილი 30 ადგილი თვითეულს, საფრანგეთს, ავსტრიას და ბელგიას—15 დანიას—7. იმ 30 ხმებიდან, რომელიც ექნება ინგლისს, დამოუკიდებელ მუშათა პარტიას ექნება მხოლოდ 2. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატები ბრეგენტში გამართულ წინასწარ თათბირს არ დასწრებიან, ვითომდა პასპორტების მიღების სიძნელის გამო.

**ბრანგინდის მთავრობა გადადგა**

**მოსკოვი** 9 აპრილი. შვეციის პარლამენტის საბიუჯეტო კომისიამ უარი განაცხადა უმუშევრობის შესახებ მთავრობის პროექტის დამტკიცებაზე. ამის გამო ბრანგინდის მთავრობა გადადგა. მოსალოდნელია ახალი კოალიციონური მთავრობის შედგენა ყველა ბურჟუაზიული პარტიებიდან.

**ინგლისის ჯაშუში**

**მოსკოვი** 9 აპრილი. გაზეთ „პოლიგიკენში“ დაიბეჭდა გამომჟღავნება ინგლისის ჯაშუშ შვეციის ჯარის კაპიტან მაგნევზე, რომელიც ძლიერ დაინტერესებული კომინტერნის მოქმედებით. მაგნევს კავშირი ქონდა ჯაშუშების ცენტრალურ შტაბთან სტოკჰოლმში.

**შვედები აღნიშნავენ რუსეთში მდგომარეობის გაუმჯობესებას**

**მოსკოვი** 9 აპრილი. მოსკოვიდან სტოკჰოლმს დაბრუნებულმა შვეციის ყოფილმა მინისტრმა ლევგრენმა ლიბერალურ კლუბში მოხსენება გააკეთა საბჭოთა რუსეთის შესახებ, მოხსენებაში ლევგრენმა აღნიშნა, რომ ბოლშევიკურ რევოლიუციაში ის ხედავს უდიდეს ცდას რუსეთის გადასარჩენად მსოფლიო ომის შედეგებისაგან. ბოლშევიზმის გამარჯვებაშიო—სთქვა ლევგრენმა,—უდიდესი როლი ითამაშა მასებში თავისი ადამიანური ღირსების შეგნების და სოლიდარობის ზრდამ. ლენინის პოპულიარობა, ლექტორის სიტყვით, არაჩვეულებრივათ დიდია. ლევგრენმა უარყო ყალბი ცნობები რუსეთის შესახებ და დახატა სურათი იმ უბრალო ცხოვრებისა, რომელსაც ატარებენ საბჭოთა ცნობილი მოღვაწეები.

შვეციის დელეგაციის მეორე წევრმა ვაჭართა კლუბში წაკითხულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ უკანასკნელ წელიწადში მდგომარეობა რუსეთში ძლიერ გაუმჯობესდა.

**კოლაროვი გაანთავისუფლეს.**

**მოსკოვი,** 9 აპრილი. ვენიდან მიღებული ცნობით სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ დატუსაღებული კომინტერნის გენერალური მდივანი ამხ. კოლაროვი და ბულგარეთის პარლამენტის დეპუტატი პენიანი უკვე გაათავისუფლეს.

**უკვე საიდუმლო არ არის.**

**ლონდონი,** 10 აპრილი. პარიზის პრესა დიდ ინტერესს იჩენს ლუშერის ლონდონში გამგზავრებისადმი. ლონდონში კი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ მით, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე, როგორიც არის ლუშერი თვითონ ჩამოვიდა ლონდონში, რათა დარწმუნდენს ინგლისის აზრში რურის საკითხის შესახებ. ეხლა ამ საკითხის შესახებ არ არის არავითარი საიდუმლო და ინგლისის შეხედულება რურის საკითხზე თემთა პალატამაც დაამოწმა. გაზეთების აზრით, უკეთუ გერმანია ეხლა წამოაყენებს სათანადო წინადადებებს ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება და მიჩნეულ იქნეს კაპიტულიაციის პირველ ნაბიჯათ.

**ლუშერის მოხსენება.**

**პარიზი,** 10 აპრილი. პარიზში ჩასვლისას ლუშერმა გაუკეთა პუანკარეს მოხსენება თავისი მგზავრობის შედეგების შესახებ. „ეკო დე პარი“-ს ცნობით, შესაძლებელია, რომ ლუშერს წინადადება მიეცეს მისი მოხსენების საფრანგეთის და ბელგიის მინისტრთა სხდომაზე წაკითხვის დაჩქარების შესახებ.

## ახლო აღმოსავლეთი

**ამხ. არალოვის გამგზავრება მოსკოვს.**

**ანგორა.** 9 აპრილი. დღეს სრულ-უფლებიანი წარმომადგენელი არალოვი მოსკოვს გაემგზავრა. სადგურზე ამხ. არალოვი გააცილა ოსმალეთის კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რაუფ-ბეიმ, საგარეო საქმეთა კომისარმა კაიზმ-ფაშამ, საგარეო საქმეთა კომისარიატის მრჩეველმა იუსუფ აბკერმა. საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლკ. მულენმა და სხვებმა. ამხ. არალოვთან გამომშვიდობების დროს რაუფ-ბეიმ გამოსთქვა მტკიცე იმედი, რომ რუსეთ-ოსმალეთის მეგობრობა ურყევი იქნება და სთხოვა მას გადაეცა სალამი წითელი არმიისათვის, რომელიც დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ერების მეგობარია.

**ახალი პარტია.**

**ანგორა.** 9 აპრილი. მოსკოვში გამგზავრების წინ. ამხ. არალოვმა ინახულა ქემალ-ფაშა, რომელმაც განაცხადა, რომ ახლო მომავალში გამოქვეყნდება დემოკრატიული პარტიის პროგრამა, რომელსაც პირველად ეყრება საფუძველი ოსმალეთში.

**შესაძლებელია გადადება.**

**ბერლინი.** 10 აპრილი. სტამბოლიდან მიღებული ცნობით შესაძლებელია ლოზანის ახალი კონფერენცია პირველ მაისამდი გადაიდოს.

**ოსმალეთის დელეგაცია,**

**პარიზი.** 10 აპრილი. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის დიდი ნაციონალური კრება დღეს ირჩევს ლოზანას კონფერენციაზე გასაგზავნ

დელეგაციას. დელეგაციის მეთაური იქნება ისმეტ-ფაშა. თუ ოსმალეთის წინადადება კონფერენციის გახსნის ოლეთ 23 აპრილის დანიშვნის შესახებ მიღებული იქმნა მოკავშირეების მიერ, დელეგაცია ამ კვირის ბოლოში გაემგზავრება.

**ოსმალეთის პასუხის გადაცემა.**

**პარიზი.** 10 აპრილი. გუშინ სალამოს ადნანბეიმ მოკავშირეების უმაღლეს კომისრებს სტამბოლში გადასცა ოსმალეთის პასუხი მოკავშირეების ნოტაზე. პასუხი შედგენილია ზომიერ კილოთი და ხასიათდება ერთგვარი თავშეკავებით ეკონომიური და ფინანსიურ კითხვებში, კერძოთ კი შერეული სასამართლოების და ოსმალეთში მცხოვრებ უცხოელების უფლებების საკითხში ოსმალეთი გამოსთქვამენ აზრს, რომ მათ წინადადებებში არაფერია ისეთი, რომლის მიღება მოკავშირეებს არ შეუძლიათ. ნოტა მთავრდება ლოზანის ახალი კონფერენციის მუშაობის წარმატებით დამთავრების სურვილით.

**ვალების გაუქმება.**

**პარიზი.** 10 აპრილი. ოსმალეთის მთავრობამ აუწყა „დეგ პუბლიკ"-ის საბჭოს, რომ ყველა ვალდებულებანი და ოპერაციები კუპონებზე 1918 წლიდან დაწყებული უკვე მომხდარი ან მოსალოდნელი გაუქმებულია.

**დემოკრატიული პარტიის შექმნის გამო.**

**პარიზი.** 10 აპრილი. დემოკრატიული პარტიის მანიფესტში, რომელიც ქემალ-ფაშას მეთაურობით ეწყობა ოსმალეთში, ნათქვამია, რომ პარტია მიზნათ ისახავს ოსმალეთში ზავის და პროგრესის აღდგენას. მეჯლიში მომავალ არჩევნებში ახალმა პარტიამ წამოაყენა 300 კანდიდატი.

## ახალი ამბები.

— **ახალი გამოცემანი.** რედაქციამ მიიღო სააქციონერო გამომცემლობის „წითელი წიგნის" მიერ გამოცემული „კომუნისტური მანიფესტი" დ. რიაზანოვის შესავლითა და შენიშვნებით და ფ. მახარაძის წინასიტყვაობით და თვიური ჟურნალი „კომუნიზმის დროშის" № 4—5.

— **ქარხნის ტრიუმფი.** გამოვიდა პროლეტარულ პოეტის სანდრო ეულის ლექსების მეორე ტომი. „ქარხნის ტრიუმფი". გამოცემის მხრივ წიგნი შესანიშნავია, ყდა დახატულია მხატვარის ზდანევიჩის მიერ. წიგნი საუკეთესო ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს ორი აბაზი ოქროთი. ქაღალდის ფულით 200 ათასი.

— **ბანდიტის მოკვლა.** შინაგან საქმეთა კომისარიატში მოსულ ცნობის თანახმად თელავის მაზრაში მოუკლავთ ცნობილი ბანდიტი ბულდან გევორქოვი, რომელსაც მეტ სახელად „ანგელოზს" ეძახდენ.

— **უნივერსიტეტის წმენდა.** სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შორის დამთავრდა წმენდა. 3920 სტუდენტიდან გამოცხადდა 3531. თავის ნებით გავიდნენ 389, მეცადინეობის სისუსტით და სხვა აკადემიურ მიზეზების გამო 543, გაფრთხილებულნი არიან 230. ამ ჟამად უნივერსიტეტში დარჩა 2758 სტუდენტი.

— **სპეკულიანტების თავგასულობა.** აპრილის 7-ს აღდგომის წინა დღეს ტფილისის ბაზარზე არაჩვეულებრივად აიწია ფასები პირველ საჭიროთა სანოვაგეზე. პროვოკატორებმა გაავრცელეს ხმა პურის შესახებ და მეპურე-მეთორნეებმაც ისარგებლეს შემთხვევით. თეთრი ფქვილი მიმალეს და რაც შენახული ქონდათ შავი ფქვილი სულ გაჰყიდეს. სალამოს გირვანქა პურს ჰყიდიდენ 100 ათას მანეთადაც. სამწუხაროდ ადმინისტრაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ამ გარემოებას. გაძვირდა სანოვაგეც კოოპერატივებშიაც, რომელიც ბაზარს ეჯიბრებოდა ფასების აწევაში.

— **საპატიმროების შეკეთების დამთავრება.** ტფ. აღმასკომმა დაამთავრა ტფილისის საპატიმროების შეკეთება.

— **ანტირელიგიოზური აგიტაცია.** რუსეთის კომუნისტურ პარტიის ამიერ-კავკასიის რაიონულმა კომიტეტმა აღდგომის წინა დღეს გამოუშვა წიგნები ანტირელიგიოზური შინაარსით, ცენტ. კუბში, წითელ არმიის თითქმის ყველა კლუბებში, მუშების კლუბებშიაც გაიმართა ანტირელიგიოზური საღამო-წარმოდგენები, სადაც დაიდგა სააგიტაციო პიესები ანტირელიგიურ შინაარსით რუსულ და ქართულ ენაზე, წარმოდგენების წინ კი კითხულობდნენ მოხსენებებს, ანტირელიგიურ საღამოებს ესწრობოდა აურაცხელი მუშები და წითელ არმიელები.

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებიც სავსე იყო იუმორისტიულ წერილებით და სატირებით რელიგიის წინააღმდეგ.

— **500 ეკლესიის დახურვა.** მარტო საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დაიხურა 500 ეკლესია. ეკლესიის შენობებში აწყობენ საავადმყოფოებს, სკოლებს, სამკითხველოებს, წიგნსაცავებს და სხ. ხალხი აღტაცებით ეგებება ეკლესიის გაუქმებას.

## დახმარება რაჭას

ამ დღეებში, როგორც გაზეთები გადმოგვცემდა, ტფილისში შესდგა რაჭის დამხმარე კომიტეტი, რომლის ამოცანასაც შეადგენს რაჭისათვის დახმარების გაწევა იმ მუშაობაში, რომელიც იქ არის დაწყებული და რომელთა დაწყებაც მომავლისათვის არის განზრახული და აუცილებელი.

ვინ არ იცის, რომ რაჭა, ჩვენი ქვეყნის ერთი საუკეთესო და მდიდარი ბუნების მქონე კუთხეა. აქა-იქ ალბათ, მრავალს სმენია რაჭის საუცხოვო ჰაერისა და მისი უხვი მინერალური წყლების შესახებ,—მაგრამ ცხადია, რომ ამ მრავალთაგანს მხოლოდ ყურმოკრული საუბარით აქვს გაცნობილი ეს კუთხე, რომელიც ამდენად ლამაზი და მდიდარი არის. ამაში უთუოდ უდიდესი ბრალი იმას მიუძღვის, რომ რაჭა მოცილებული არის მთელ საქართველოს უგზოობის გამო და იქ ისეთივე მყუდრო ცხოვრება მიმდინარეობს, როგორც მყუდრო არის მასი სქელი ტყით დაფარული მთები და გორაკები.

დღეს, როდესაც აღმშენებლობითი ამოცანები მთელი თავიანთი მნიშვნელობით არიან წამოჭრილნი ჩვენს წინ,—სავსებით ბუნებრივია, რომ თვალი მივაპყრათ იმ კუთხეს, რომელსაც მზრუნველი ხელი არ შეხებია არასოდეს და ერთხელაც არ ყოფილა შედეგიანი სერიოზული ცდა მისი აღორძინებისა და ამაღლებისათვის.

ვისაც ერთხელ მაინც დაუთვალიერებია რაჭა და მას თუნდ ზერელეთ გასცნობია,—მისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ ამ კუთხის აღორძინება და განვითარება არ ისეთი მიუწვდომელი რამ არის, როგორც ეს რაჭველ ღარიბ მოსახლეობასა და მათი ჩამორჩენილობასთან გაცნობის პირველ შთაბეჭდილებისთანავე დაისკვნება. მიწის სივიწროვემ და ლუკმა პურისათვის დაუზოგავმა ჯაფამ რაჭველი,—შრომის მოყვარე და მუყაითი გახადა; ბუნებასთან პირისპირ დგომამ, რომელიც არც ასე ადვილათ იძლევა ამ კუთხეში თავის გამოსაკვებ სურსათს,—რაჭველი შრომას და დაბრკოლებათა ძლევას შეაჩვია. იშვიათად მისულა ასეთ რაჭველთან ისეთი ვინმე, რომელსაც ოდნავ მაინც ეზრუნა იმისათვის, რომ მას შეძლება ქონოდეს თავი ეხსნას მუდმივ გაჭირვებისაგან და ოდნავ წელში გამართულიყოს. და თუ კი რაჭის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და კეთილდღეობისკენ დღეს მაინც ვისმეს მიერ მიმართული იქნება ღონისძიება,—უპირველესი თავდები იმისა, რომ ეს ცდა ნაყოფიერი იქნება, არის რაჭველის მარჯვენა და მისი შრომის მოყვარეობა.

განა ზედმეტი არ იქნება რაჭის ქალწულებრივ ხელუხლებელ ბუნებრივ სიმდიდრეებზე ლაპარაკი, რომელნიც დღესაც უცდიან გამოყენებას და დამუშავებას!!. მდიდარი ტყე და საერთოდ მცენარეულობა, მრავალგვარი ლითონის მადნები (ჯერ კიდევ ხეირიანათ გამოურკვეველი და შეუსწავლელი), მინერალური წყლების უხვი წყაროები, რაჭის წყლების ჰიდრო-ელექტრული ენერგია, რომელიც დღემდე უქმათ იკარგება და ბოლოს. რაჭის მშვენიერი კლიმატი, რომელიც მრავალ კურორტებს შეშურდებოდათ,—აი რა ქმნის ყოვლის უწინარეს,—რაჭის სიმდიდრეს და დოვლათიანობას. მიეცით ცოდნა და კაპიტალი რაჭველის მშრომელ მარჯვენას და თქვენ ამ კუთხეს სამოთხედ გადაგიქცევთ... მაგრამ თუ დღეს მათ ხშირათ, ჩვენი კუთხის ქალაქებში ხედავთ კურტან-მოკიდებულს, [illegible] ნუ დააკისრებთ...

ამ ჟამად რაჭ[illegible] ნების შესრულებას; არსებული გზები, ხიდები აღდგენილ უნდა იქმნენ (ამათ ხომ შეკეთება კარგა ხანია არ ღირსებიათ!); ჰიდრო-ელექტრული სადგურის ასაშენებლად დაწყებული მუშაობა უთუოთ დამთავრებული უნდა იქნეს და ეს იქნება პირველი მძლავრი შუქი, რომელიც რაჭველის პატრიარქალურ ცხოვრებაში შეანათებს; გახსნილ უნდა იქნენ ახალი შკოლები და გაუმჯობესებული არსებულები; რაჭველმა თავი უნდა დააღწიოს წერა-კითხვის უცოდინარობას, კარჩაკეტილობას და უნდა ვაზიაროთ კულტურულ ცხოვრებას; აგრონომიული პუნქტების და დახმარების მოწყობა,—უპირველესი ამოცანათაგანია, რომელმაც უნდა მისცეს რაჭველ გლეხს საშვალება,—ადამისეულ ტრადიციებისგან გამოფხიზლებისა. და განა ამ უმცირესი და უსაჭიროესი ამოცანების შესრულება დიდ შრომას, თანხას და დროს არ მოითხოვს? მაგრამ გარეშე ამათი შესრულებისა შეუძლებელია გზის გაკაფვა მომავალ მუშაობისათვის; ეს არის ის მოთხოვნილება, რომელიც პირველ რიგში, დაუყონებლივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ჩვენ ვგრძნობთ იმ ტვირთის და მოვალეობის სიმძიმეს, რომელიც რაჭაში მომუშავეთ აქვთ დაკისრებული; მაგრამ მათი მუშაობა და საქმიანობის უნარი შეაძლებინებს რაჭველ გლეხს, ისუნთქოს იმავ ცხოვრებით, რითაც უკვე კარგა ხანია სუნთქავს ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეები; ეს კი საუკეთესო ჯილდო იქნება მათი მუშაობისათვის.

ცენტრალური ორგანოები, არ უნდა დარჩენ ამ მუშაობის გარეშე; თუ კი ოდესმე მათი მოვალეობა პროვინციის დახმარება და შველა იყო,—ეს მოვალეობა ყველაზე უფრო მეტად და უხვათ გამოჩენილი უნდა იქნეს რაჭისადმი. რაჭას მოცილებულ რაჭველთა ვალდებულებაც ასეთივეა,—ცხადი უნდა იყოს ყველასათვის. დამხმარე კომიტეტის მოვალეობაც ამ მხრივი არის უმთავრესად, რათა შორეული ხელი გაუწვდინოს თავიანთ მოძმეებს.

ჩვენ აქეთ მოუწოდებთ ყველა მათ, ვისაც გული შესტკივა ჩვენი ქვეყნის, და კერძოთ რაჭის აღორძინებისა და ამაღლებისათვის...

**რაჭველი.**

## კონიუნკტურები, კოოპერაციის განვითარებისათვის

სოციალური მოვლენები ესოდენ რთულია, რომ არსებულის ფორმების შეცვლა, მისი საწინააღმდეგო ზომების მიღება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მეურნეობის ფორმები არას დროს ერთ წერტილზე არ გაყინულა და იგი ყოველთვის შედეგი იყო ძველის და ახალის შებრძოლებისა. კაპიტალისტური მეურნეობა გლეხური მეურნეობის ნანგრევებზე აშენდა და გაცვლა-გამოცვლის განვითარებამ ფულის მნიშვნელობა ესოდენ გააზვიდა. თუ თომა აკვინელს ფულის გასესხება და მასზე პროცენტების აღება სიკვდილის დანაშაულთან ქონდა გათანასწორებული, მეჩვიდმეტე საუკუნეში სახელმწიფოს მესვეურნი სახელმწიფოს ძალოვნებას სალაროს სიმდიდრით ზომავდენ.

წარმოებაში ორთქლის გამოყენებამ საბოლოოდ მოჰკლა ცეხური მეურნეობა და კაპიტალისტური მეურნეობის ფორმამ გამარჯვება იდღესასწაულა. მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში კაპიტალისტური მეურნეობა განვითარების ფაზაში შედის და ამ ხანაში საკმაოდ ცხად ჰყოფილია ის უარყოფითი შედეგები, რომელიც შემდეგში კაპიტალისტურ მეურნეობის დამახასიათებელ თვისებად გადაიქცა.

## მოხსენება „სმენა ვეხებზე"

**(წერილი მოსკოვიდან)**

ძველ სალვთისმეტყველო დარბაზში მოვისმინე მოხსენება. მოხსენება გააკეთა მეშჩერიაკოვმა და ოფიციალურ ოპონენტად გამოცხადდა „სმენა ვეხოვეცი" პოტეხინი შემდეგს თემაზე: Мечты и судьба „Смена Веховцев". მოკლე შინაარსს გადავცემთ მკითხველს აღნიშნული მოხსენებებისას.

— ამხანაგებო, სხდომას გახსნილად ვაცხადებ, სიტყვა ეკუთვნის თემაზე „ოცნება და მომავალი „სენა ვეხოვცებისა" ამხ. მეშჩერიაკოვს—აცხადებს თავჯდომარე—ვიაჩესლავ პოლონსკი. იქვე სცენაზე მაგიდასთან ზის „სმენა ვეხების" თანამშრომელი პოტეხინი. მომხსენებლის ადგილს ტრიბუნაზე იკავებს ამხ. მეშჩერიაკოვი; უკანასკნელი ხნიერი კაცია, უბრალოთ ჩაცმული, მაგრამ უაღრესად ინტელიგენტური გამომეტყველების. მისმა მოხსენებამ დასტოვა შთაბეჭდილება მეტად გულწრფელი ინტელიგენტის.

აი მასი მოხსენებაც მოკლეთ: სამი წლის უკან პრაგაში უსტრიალოვის რედაქტორობით გამოვიდა კრებული „სმენა ვეხები". რამოდენიმე ხნის შემდეგ ყოველკვირეული ჟურნალი „სმენა ვეხები", ხოლო ამ ორგანოების ირგვლივ შემოიკრიბა რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიის შემოტევა სისხლის მორევში ჩაახრჩო რუსეთის პროლეტარიატმა და რევოლიუციონურმა გლეხობამ „სმენა ვეხები"-თ დაიწყო რეაქცია რეაქციონერთა სულისკვეთებაში. მათ დაინახეს, რომ რუსის ხალხს მთლიანად სწყურია რევოლიუციის მონაპოვართა დაცვა და ბოლშევიკური ძალა-უფლება; მათ თანდათანობით დაინახეს აგრეთვე, რომ რევოლიუციამ რუსეთი და მაშასადამე რუსის ხალხი წინ წამოსწია და საერთაშორისო პოლიტიკის მძლე ფაქტორად აქცია. და აი ბურჟუაზიულ, მაგრამ პატრიოტულ ინტელიგენციის არსებაში, მოხდა დიდი გარდატეხა; მან თანდათანობით დასძლია ჯიუტური და შურისძიებითი სულისკვეთება და მიზნად დაისახა თვისი ცოდვების გამოყიდვა რუსის ხალხის წინაშე სამშობლოში დაბრუნებითა და დადებითი მუშაობის წარმოების სახით. რაღა თქმა უნდა „სმენა ვეხოვცები" კომუნისტები არ არიან და ვერც გახდებიან, (მხედველობაში მყავს უმრავლესობა) მაგრამ თავის სამშობლო და ერი მათ უყვართ, რაღა თქმა უნდა თავისებურად, მაგრამ მაინც უყვართ; ეს გარემოება კი ჩვენთვის, მთელი საბჭოთა რუსეთისათვის მეტად ხელსაყრელს პირობებსა ქმნის. ჩვენგან 2 მილიონამდის ინტელიგენტი და ცოდნის იარაღით აღჭურვილი სპეცი გაიქცა; ეს ფაქტი, ისედაც ინტელიგენტური და სპეცებით ღარიბ რუსეთს, დიდათ დაეტყო, მუშათა კლასის მმართველობა და პოლიტიკური მიმართულება სასურველს დასკვნამდის ვერ მივა, თუ ემიგრანტი ინტელიგენცია ქვეყანას არ დაუბრუნდა. ამ გარემოებას ხედავენ „სმენა ვეხების" თანამშრომელნი და ძლიერი რუსეთის შექმნით გატაცებულნი, ენერგიულ აგიტაციას ეწევიან რუსეთში დაბრუნებისათვის; ამ მხრით მათ უსაზღვრო სამსახური გაუწიეს საბჭოთა რუსეთს და მათი მუშაობის ნაყოფია, თუ დღეს ჩვენს დაწესებულებებში მუშაობენ ყოფილი ემიგრანტები და კოლჩაკ-დენიკინის ყოფილი მინისტრები.

ყოველივე ნათქვამის მიუხედავად ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ „სმენა ვეხოვცებზე", როგორც ერთი პოლიტიკურ-სოციალურ მიმდინარეობაზე. აქ გარდა იმისა, რომ თითქოს არსებობს მემარჯვენე ფრთა, ცენტრი და მემარცხენენი, ყოველ პიროვნებას თავისი მოტივები აქვს და თავისი სოფლმხედველობაც ერთსა და იმავე გაზეთში, ან ჟურნალში თქვენ შეხვდებით სხვა და სხვა ხასიათის წერილებს, რომელნიც თავის მოტივაციით და ავტორთა სოციალ-პოლიტიკური მრწამსით არსებითად განსხვავდებიან. მაგ. პროფ. ჩახოტკინი გვიმტკიცებს, რომ „სმენა ვეხოვცები" მთლიანი სოციალ-პოლიტიკის მატარებელი მიმდინარეობაა, ხოლო მოწინავე „ნაკანუნე-სი" № 105-ში გვეუბნება: „ჩვენ არ გვაქვს მთლიანი ეკონომიური ბაზა. არის მხოლოდ მთლიანობა ტაქტიკურს გამოსვლებში და უარყოფით შეხედულებაში". მილიუკოვმაც სთქვა „მათ მხოლოდ ერთი ტაქტიკა აქვთო". მაგრამ მე მგონია მარტო რუსეთში ჩამოსვლის მოწოდება არ გამოხატავს მთლიან ტაქტიკას. უკანასკნელი კი მიზანთან მჭიდროთ არის დაკავშირებული. როგორ აფასებენ „სმენა ვეხოვცები" რუსეთის რევოლიუციას და რას მოელიან მის შედეგად?

ამ საკითხის შესახებაც მათ ერთი აზრი არ აქვთ. აქ ნახავთ კადეტის წერილსაც, ნაროდნიკის ოცნებას, მენშევიკური მატერიალისტის მსჯელობასაც და ვინ იცის კიდევ რას. სავსებით ხასიათდება ამ აღრევითა და შინაგანი ბრძოლით ინტელიგენციის ბუნებაც. „სმენა ვეხოვცები" უყურებენ, რომ ისტორიამ ისინი გაამტყუნა, მაგრამ ვერ სცილდებიან სავსებით იმ ცნებებს, რომლითაც ამდენი ხნის განმავლობაში უცხოვრიათ და უაზროვნიათ; ამითაც აიხსნება, რომ მათი წერილები სავსეა ლოღიკური წინააღმდეგობით.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დამავალა მომავალ საბჭოთა ყრილობისათვის შემესწავლა და მოხსენება გამეკეთებინა „სმენა ვეხოვცებზე", მაგრამ აღნიშნული ქაოსის გამო, დიდი შრომა და ენერგია დავხარჯე, რომ გამომეცნო ამ ხალხის სულიერი ევოლიუცია. როცა მუშა იცვლის შეხედულებას, მისთვის ადვილია ეს პროცესი, მაგრამ მეტად რთული ხდება იგი ინტელიგენტისათვის. ინტელიგენტის აზროვნული აპარატი ცნებათა მთელს სისტემას, მთელს ორგანიზაციას წარმოადგენს, ამიტომ მისთვის აგრე ადვილი არ არის ძველის დატოვება. მე ჯერ კიდევ განთავისუფლებული არ ვარ ნაროდნიკული გავლენისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკუთვნის 80-იან წლებს, ხოლო მარქსისტი ვარ 1893 წლიდან. ამით აიხსნება ნაროდნიკული კონცეპცია, რომელიც დაჰბადებია „სმენა ვეხების" ერთ ერთ პასუხისმგებელ თანამშრომელს; უკანასკნელი გაზეთ „ნაკანუნეში" გვიმტკიცებს, რომ რევოლიუციის შედეგი მსოფლიოში იქნება კოლექტივიზმის პრინციპის გამარჯვება, რაც გამოიხატება გლეხური კოოპერაციისა და არტელების სრულს აყვავებაში. კოოპერაცია იქნება უნივერსალური მოვლენა და ეკონომიკის უკანასკნელი ფორმაც, რომელიც გაანთავისუფლებს წვრილ მწარმოებელს ინდუსტრიის ვეშაპთა კონკურენციისაგანო. ამიტომ მისი აზრით რუსეთში დაბრუნება და ამ სტიქიური ძალების შეგნებული გაღრმავება უნდა იყოს მიზანი ყოველი პატიოსანი რუსი ინტელიგენტისათვის. ცხადია, რომ ეს შეხედულება წმინდა წყლის 70—80 წლების დამარხული ნაროდნიზმის ნაშთთა მიწიდან ამოღებას და ახალ იდეალათ გასაღებას ნიშნავს. კომუნისტები აღიარებენ უდიდეს მნიშვნელობას კოოპერაციისას, როგორც ისეთ საშუალების, რომელიც გაარბილებს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შეასუსტებს წვრილ მესაკუთრეობის ინსტინქტს გლეხისას და მით ხელს შეუწყობს სხვა რადიკალურ ზომებთან ერთად გლეხი სოციალისტურ წყობილებაში გადაიყვანოს. ამრიგად კოოპერაცია ჩვენთვის გარდამავალი ხანის ერთ-ერთი საშუალებათაგანია მხოლოდ. რევოლიუციონური პრაქტიციზმისაგან დაცილებული ვიქნებით, რომ სინამდვილისათვის ანგარიში არ გაგვეწია და გვეფიქრა: ორი ეკონომიურ-სოციალური ფორმის შორის ხმალგამართული ბრძოლა, თავისუფალ კონკურენციით შეიცვლება: ერთის მხრით კოოპერაცია და მეორეს მხრით კერძო კაპიტალი თავისუფალს ბაზარზე მშვიდობიანის, ეკონომიურის მეტოქეობის გზით მიმართავენ გარდამავალს ხანას თანამედროვე კაცობრიობისას; რომ თან და თანობით, სრულიად „ბუნებრივად" და ვინმეს „უწყინრად" კოოპერაცია დაამარცხებს კაპიტალისტურ წარმოებით ძალებს და ამ ქვეყნიური სამოთხე დამყარდება ასე უმტკივნეულოდ და ასეთის სილამაზით. ეს მომხიბლავი იდილია არის, რომელზეც შეიძლება ოცნება, მაგრამ მიუტევებელია ამ აზრის გაზიარება დღევანდელი რევოლიუციონური მუშისა და გლეხისათვის.

მაგრამ „სამენა ვეხოველების" მემარჯვენე ფრთა არ იზიარებს ამ კოოპერატიული უტოპიას და ფიქრობს, რომ რუსეთში კაპიტალიზმი იმარჯვებს, რომ იგი თანდათანობით ლოღიურად თავის ადგილს დაიკავებს და „მუდმივი ჭაბუკნიც" („Вечные юнцы") ამაში მალე დარწმუნდებიან. მთავარ ხელმძღვანელს „სმენა ვეხების" ჯგუფისა მოქ. უსტრიალოვს მოყავს ციტატა კონს. ლეონტიევისა (თანამშრომელი კატკოვის „ვესტნიკის") და კმაყოფილებით დასძენს: გაკოტრდება კომუნიზმი, მაგრამ აღსდგება ახალი რუსეთიო. ერთი სიტყვით „სმენა ვეხელებს" არ აქვთ მთლიანი იდეოლოგია, მთლიანი შეხედულება სხვა და სხვა ეკონომიურ სოციალურ მოვლენებზე. მაგრამ ერთში შეთანხმებულნი მაინც არიან: რუსეთში საჭიროა დაბრუნება და მუშაობა, ჩვენც უნდა მივცეთ „კეისარს კეისრის" და დავაფასოთ „სმენავეხების" ღვაწლი ჩვენდა სასარგებლოდ გაწეული. რუსეთის შესახებ ერთად-ერთ სწორ ცნობებს, გარდა კომუნისტებისა, აწვდიან „სმენა ვეხების" ორგანოები დასავლეთის მუშათა კლასს და აგრედვე სახელმწიფოებს, რომლებთანაც ჩვენ სურვილი გვაქვს კავშირი დავიჭიროთ (რეპლიკა) მაშ თქვენ მილიუკოვსაც ჩამოიყვანთ, რომ რუსეთში დაბრუნებას დათანხმდეს? მეშჩერიაკოვი რატომაც არა, მილიუკოვი განათლებული და ჭკვიანი კაცია, მას ჩვენ სახელმწიფო გამომცემლობაში გამოვიყენებდით. შემდეგ მეშერიაკოვის მოხსენების კამათი გაიმართა.

(დასასრული იქნება)

**მოსკოველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტალისტურ სისტემამ წარმოშვა ახალი კლასი: საზოგადოებრივ დანაწილებაში მან ახალი გადაჯგუფება შეიტანა და სოციალურ ორგანიზმზე ნათლად გამოჰკვეთა ორი დიამეტრალურად მოწინააღმდეგე კლასი: კლასი უმიწაწყლო გლეხების და ქალაქის პროლეტარიატის და კლასი კაპიტალისტების, ექსპლოატატორების.

იმ დროინდელი მუშა თავის მოწინააღმდეგეს არა თვით მეურნეობის სისტემაში ეძიებდა, არამედ თავის უშუალო მტრებათ მანქანებს მიიჩნევდა საკითხის გადაწყვეტას მანქანების დამტვრევა დანგრევაში სჭვრეტდა, რაც ინგლისში **ჩარტისტულ** მოძრაობას ახასიათებს.

ჩარსტისტულ მოძრაობიდან იწყება დატა მუშათა მოძრაობის და თან და თანობით მუშათა კლასი გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებში ყალიბდება. სწორედ ამ ხანას ეკუთვნის გამოყენება იმ ძლიერი იარაღის, რომელიც როჩდელის პიონერებმა გამოსჭედა და მას სახელად „მომხმარებელთა კოოპერატივი“ უწოდა.

მუშათა კლასისათვის კოოპერატივები ბრძოლის იარაღია და ამავე დროს საუკეთესო სკოლა, სადაც მუშა ფსიხოლოგიურ გარდატეხას უნდა განიცდიდეს.

კაპიტალისტურ მეურნეობა როგორც ზევით აღვნიშნეთ კარჩაკეტილ და ცეხურ მეურნეობის ნანგრევებზეა აგებული, მეოცე საუკუნეში მან ნაწილობრივად დაასრულა თავის განვითარების რკალი და დღეს კატასტროფის წინაშე სდგას. კაპიტალისტურ მეურნეობის განვითარებასთან ერთად ჩვენ ვამჩნევთ, რომ პარალელურად ვითარდება მეურნეობა რომელიც კაპიტალისტურ მეურნეობის ფარგლებშივე მისგან დიამეტრალურად განსხვავდება თვის საბოლოო მიზნით და მოქმედებით—**ეს არის კოოპერატივი.**

კოოპერატიული მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იწყება და ყოველ ქვეყანაზე გამოძახილს პოულობს. საქართველოც არ ჩამორჩა ამ მხრით და მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ ვხედავთ საქართველოში კოოპერატივს სხვა და სხვა ტიპებს, როგორც არის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „კახეთია“—დაარსებული 1896 წ. გორის—სასოფლო სამეურნეო—1897 წ. გურიაში მომხმარებელი კოოპერატივი 1884 წ. და სხვა საკრედიტო და მომხმარებელი საზოგადოებანი.

როდესაც ამა თუ იმ ეკონომიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც გვსურს მის სიჯანსაღეზედ ვიმსჯელოთ, ჩვენ იმ თავიდანვე ობიექტიურათ უნდა გავითვალისწინოთ იგი და დავსვათ საკითხი: არის თუ არა ესა თუ ის ეკონომიური მოვლენა ობიექტიურ ძალთა განწყობილებიდან წარმოშობილი, თუ იგი გატაცებული აზროვნების ნაყოფია. როდესაც ჩვენ აი ასეთი თვალსაზრისით მივუდგებით კოოპერატიულ მოძრაობას, დადებით პასუხს ვღებულობთ. მართლაც და ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია პლატონ—არისტოტელე და ქსენეფონტედან მოყოლებული რობერტ ოუენამდე არ იცნობს ისეთ ეკონომიურ ორგანიზაციას, რომელიც ადექვატი იყოს კოოპერაციასთან. სად ვეძიოთ ჩვენ აღნიშნულ გარემოების განმარტება? აუცილებლათ ეკონომიურ ძალთა განწყობილებაში.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოების სისტემა ინტერესთა წინააღმდეგობას ეგზომ ნათელჰყოფს, რომ უბრალო შემფასებელსაც კი შეეძლო მუშებისა და კაპიტალისტების ინტერესების წინააღმდეგობის აღნიშვნა. მეოცე საუკუნის დასაწყის და ცოტა უფრო ადრე მუშათა კლასი იმიჯნება კაპიტალისტებისგან, საბოლოოდ ქრება მუშათა შორის ის იდეალური განწყობილება, რომელსაც ადგილი ქონდა ცეხურ მეურნეობის დროს. მუშები აარსებს ორგანიზაცებს. მუშათა კლასისათვის ერთი ასეთი ორგანიზაცია არის **კოოპერატივი.**

საუკეთესო გამარჯვება მოწინააღმდეგეზე იმაშია, როდესაც მას ისე დასცემ, რომ მის შესაძლებლობა არ ექნება შემდეგში წინააღმდეგობა გაგიწიოს.

კოოპერაციის გამარჯვება მისი ბრძოლას მეთოდების სისალეშია.

კოოპერაცია ერთ ერთი იარაღია კაპიტალისტური მეურნეობის წინააღმდეგ ბრძოლისა. იგი ჩანისახია სოციალისტური მეურნეობის. ამდენადვე კოოპერაციას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

**ვიქტორ მხეიძე.**

## სასოფლო მეურნეობა და ქართველი ხალხი.

### ძალა ერთობაშია.

ვსტირით და ვგოდებთ, რომ ვიღუპებით, რომ საჭიროა მოქმედება, მოქმედება რეალური-საქმიანი. მაგრამ სად არის? ბეცნი ვართ, სწორედ რომ ბეცნი! რაც მართლა ჩვენი წმინდათა-წმინდაა, ჩვენი ფუძე და საძირკველია, იმას სრულიად ყურადღებას არ ვაქცევთ და გვინდა კი რომ გვეშველოს, რომ ჩვენს ათასნაირ ჭრილობას მალამო დაედოს... ვიძახით და ვყვირით, რომ გვშიან, გვწყურიან, რომ ჩვენთვის არც პურია და არც ღვინო, არც ხორცი და არც სხვა სანოვაგე და იმის მაგივრად, რომ ყველა ეს ბლომად მოვიყვანოთ და ამის საშუალებანი გამოვძებნოთ, ჩვენ უსაგნოდ ლობე-ყორეს ვედებით... გზა-დაბნეულები ვართ სწორედ: გაგვიგია, რომ **ერთობა ძალაა** და ის კი არ ვიცით, თუ რომელს საქმეში, რა ადგილას და როგორ არის იგი ძალად?! ამოდენა ბუნებრივი სიმდიდრე ცხვირ წინა გვაქვს—ნაყოფის მომცემი მიწა-წყალი და ყოველგვარი ტყით და მადნეულობით მთა-ბარი, რომელთაც თამამად შეუძლიანთ თუნდა ათი ჩვენოდენა ხალხი აცხოვროს და ჩვენ კი იმის გაგებაც არა გვაქვს, რომ სწორედ აი ამ მიწა-წყალშია და მთა-ბარში ჩვენი ხსნა, ჩვენი შველა, საჭიროა მხოლოდ ცოტაოდნად ტვინის განძრევა, საჭიროა სწავლა და დაკვირვება, თუ სად უნდა ვეძებოთ ჩვენი კვერი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეიით!.. და ვართ ესე გზა-დაბნეულნი, თუმცა ვიცით, რომ ძალა ერთობაშია და აქაც ისევ ერთობა თუ გვიშველის და სხვა არაფერი. მიწა-წყალი და მთა-ბარი კი ისეთი ბუმბერაზული ნაწილებია ბუნებისა, რომ ვერა და ვერ დასძლევ მათ მარტოოდენ შენი პაწაწინა ხელებით, მარტოოდენ შენი ამაყი „მე“-თი! დიდს საქმეს დიდივე ძალა უნდა დავუყენოთ წინ, თუ გვინდა, რომ დავძლიოთ იგი?! ჩვენ კი მარტოოდენ ჩვენი საცოდავი ორი ხელით ვებრძვით მათ აქა-იქ უწესრიგოდ, უანგარიშოთ, უიარაღოთ და გვინდა კი რომ დავძლიოთ?! ოცნება და თავის მოტყუებაა ეს, ქართველო, და დროა გონს მოვიდეთ და გავიგოთ, რომ მიწა-წყალიც და მთა-ბარიც მხოლოდ და მხოლოდ ერთობით და ცოდნით დაიძლევა და ამიტომ ყველანი ერთად უნდა შევეჭიდნეთ მას და არა ცალ-ცალკე. შენ რომ ხელად ასჩიჩქნი მიწასა და ჩააბნევ შიგ თესლსა, ანუ შეჭყელავ ვაზსა და გგონია, რომ ახლა კი ყელამდის ავივსები პურითა და ღვინითა, შემცდარი ხარ, დროა ერთხელ და სამუდამოთ შევიტყოთ, რომ ამ ჩვენ მიწა-წყალს და მთა-ბარს ჩვენ **მარტოხელანი** ვერას დავაკლებთ და ისევ **ერთობას** უნდა დავენდოთ სულიან-ხორციანათ და ის გვიშველის, სხვა ვერაფერი. ტყუილათ გავიწყვეტთ ილაჯს და მაინც ვერას გავხდებით იმ საქენიან ლოტოსავით, რომელიც ქაგარს ბადეში გაბმულია და ამაოდ ბარტყუნობს და თავს აწყვეტს აქეთ-იქით, რომ მოჩჩეს და განთავისუფლდეს?!.

შეერთდით კვლავაც დიდ პატარა სამეურნეო ოჯახებად, შეაერთეთ ყველამ თქვენი მარჯვენა და შრომა, ფული, საქონელი თუ იარაღი და ამ სახით ყველამ ერთად და საერთო ძალით, საერთო აზრით დაამუშავეთ, გატეხეთ და დაიმორჩილეთ ბუნება და მისი ძალნი... მშობლებო! არა კმარა შვილების მარტოოდენ დაჩენა, აღზრდა და მერე ღვთის ანაბრობაზე გაშვება ქვეყნის უამრავ ბოროტებათა შორის! საჭიროა კვლავაც მათი თქვენს საერთო საოჯახო მეურნეობაში ჩაბმა, აქ გაბრძოლება მათი ცხოვრებასთან და ბუნებასთან, აქ განმტკიცება მათის მარჯვენისა და გონება-ხასიათისა ზემოთ-თქმულისამებრ და შემდეგ თითონ იციან: თუ იშვნიეს და ნახეს, რომ სარფა და კარგია მათთვის და მათ ამხანაგებისთვის საოჯახო კომუნაში ცხოვრება და მოქმედება, ხომ კარგი, თუ არა და გზა ხსნილია, უფლება აქვთ მიატოვონ ოჯახი და იქ ეძებონ ბედი და ცხოვრება, სადაც საკუთარი გონება უკარნახებთ...

მარტო ამ ხერხით და ოჯახისა ასე თანასწორუფლებიანად მომრავლებით და მომტკიცებით შესძლებთ რასმე გახდეთ მაგ თქვენს მიწა წყალთან და მთა-ბართან. მარტო ამ ხერხით შეგიძლიანთ მიიღოთ მათგან **ას-კეროძი** იმ **ათ-კეროძის** მაგივრად, რომელსაც დღეს იღებთ მათგან და, ხშირად ვერც ამას იღებთ!..

ჩამოიარა ლალისყურში თიანელების გლეხთა მეორე ჯგუფმა, შვიდმა კაცმა მომკელებმა და მოგვმართეს ჩვენ: ოღონდ პური გვაჭამეთ და რა საქმეც გენებოთ გაგვაკეთებინეთო, ხელ-ფასი არ გვინდაო, სამუშაო ვერსად ვიშოვეთო... ჩვენ პური კი ვაჭამეთ, მაგრამ სამუშაო კი ვერაფერი მივეცით, რადგანაც უკვე იმავ თიანელების პირველი ჯგუფისთვის გვქონდა საქმე მიცემული... როდემდის უნდა იყოს მუშა ხალხი ასეთს განწირულსა და გაურკვეველს მდგომარეობაში, რომ სამუშაოს ხშირად, სადაც ას და ორას ვერსზე ეძებს ის? არა, ასე არ ივარგებს: მუშა ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საოჯახო საწარმოვო კომუნების გარეშად ხსნა არ არის და ჩვენც, წინააღმდეგ ჩვენი მამაპაპური მტრობისა ნათესავებისადმი, უნდა გული შევიცვალოთ და ნათესავებმა, მეგობრებმა, ნაცნობებმა, ყველამ მოხსენებული საოჯახო სამეურნეო ამხანაგობანი დავაარსოთ და გამარჯვებაც მაშინ ჩვენი იქნება!.. იქნება იმიტომ, რომ, როგორც ნათქვამია—ბევრის ხელის ჭირიმე და ერთი პირისაო,—როცა ბევრნი ვიქნებით, საქმესაც მრავლად გავიჩენთ და ექნება ყველას საქმე და აღარ დასჭირდებათ ცხრა-მთას იქით გადასაღვეწად სამუშაოს საძებნელად. საქმის მრავლად გაჩენას მეცნიერნი **შრომის განაწილებას** ეძახიან და ამბობენ, რომ იგია ნამდვილი წყარო ზედმეტი სიმდიდრისა და წარმოებათა გაადვილებისთ..

ერთ დროს მარქსმა უყვირა ქვეყანას: პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდითო, რადგანაც შეერთება ერთმანეთს გაგაცნობსთ, დაგაახლოვებსთ და ასეთი გაცნობა და დაახლოვება კი საუკეთესო კვანძია ერთობისაო. მაგრამ სად შეიძლება ასე კარგად და სავსებით გაცნობა ერთმანეთისა, როგორც ოჯახში, ნათესავებში? ოჯახის წევრნი იცნობენ ერთმანეთს დაბადებიდან ამიტომ ნამდვილი ცნობა და ერთობაც მხოლოდ ოჯახის წევრთა შორის შეიძლება, რადგანაც ერთმანეთის ცნობა, აქ თან შეზავებულია ნათესავურის სიყვარულით და გრძნობით.

მაშ შეერთდით ოჯახის წევრნო-მშობლებო, შვილებო, შვილის-შვილებო! ჩინეთში დღესაც არის ისეთი ოჯახები, რომ მეცხრე შთამომავლობამდე ერთად ცხოვრობენ ერთის ჭერის ქვეშ. ჩვენ რაღა დაგვემართა, რომ შვილებიც კი გვერდში ვერ ამოგვიყენებია მშობლებსა?! დაიცევით ოღონდ ორი პირობა. ერთი ის, რომ უნდა მოისპოს ქალის მონური უუფლებრივო ყოფა ოჯახში და, მეორე, ასეთივე ყოფა შვილებისა. ამის საშუალებანი ჩვენ უკვე დავასახელეთ ზემოთა და ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ... კომუნისტებს აბრალებენ: თქვენ გინდათ შემოიღოთ **ზოგად-ცოლიანობაო!** ეს ტყულია, უბრალო გაუგებრობაა: ზოგად-ცოლიანობის შემოღებას კი არ ქადაქებენ კომუნისტები, არამედ მის სავსებით მოსპობას და ისეთი პირობების შექმნას, რომ ყვლას შეეძლოს დამოუკიდებლად და გარეშე სხვა ყოველი ინტერესისა, გარდა გულითადი მიდრეკილებისა და სიყვარულისა, ცოლ-ქმრულად დაკავშირება. ასეთი ცოლ-ქმრული დაკავშირებეს ერთად-ერთი მიზანი არის ბუნებრივი მიდრეკილება ორივე სქესთა შთამომავლობის მოსამრავლებლად და მათი ადამიანურად აღზრდა...

**ივანე როსტომაშვილი.**

## აპრილის დღეები

გარდაიცვალა [illegible]
და ავზნიანი დღეები მარტის

ლურჯად ელვარებს ეთერი წყნარი
და ყვავილები ხარობენ ატმის.

სული დალია ბებერმა ჭინკამ;
და მოკვდა ქარი ფაფარ აყრილი.

ლილით შეღებილ ცამა იჭექა
და ქალწულივით მოდის აპრილი.

დღეს აპრილივით კეკლუცობს გული
და ყველა კაცის ვარ მეგობარი...

მე ვარ აპრილის შეყვარებული.
მსურს უხვად გავსცე დღეს საჩუქარი!

აღარ ვიგონებ დაფრქვეულ ცრემლებს,
ღიმილით ვუცქერ გაფურჩქნულ ბაღებს.

ტრფობით დავკოცნი აპრილის დღეებს,
როგორც ბუნების ლურჯ ბაირაღებს.

**დ. კობიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართველი ქალის მდგომარეობა წარსულში და ეხლა

საქართველოს წარსულ საუკუნეებში ქართველი ქალი ყოველ მოქალაქეობრივ უფლებებს მოკლებული იყო. იგი იჩაგრებოდა ყველასაგან: ქმრისაგან, კანონისაგან, საზოგადოებისაგან, და სხ. მართალია, ქართველ ქალს ჩადრი არ ქონდა ჩამოფარებული სახეზე და ჰარამხანები აღკრძალული იყო ქრისტიანობის სარწმუნოების ძალით, მაგრამ სხვაფრივ ქართველი ქალი არ განირჩეოდა აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოთა ქალებისაგან. ქართველ ქალს იურიდიულათ არ ქონდა თავისი საკუთარი „მე“. მის სურვილებს და სულიერ მოთხოვნილებებს სრულებით არ უწევდნენ ანგარიშს. შესრულდებოდა რა თოთხმეტმ ან ხუთმეტი წლის, მშობლები ათხოვებდნენ, მაგრამ მიათხოვებდნენ არა მას, ვინც ქალს მოსწონდა, არამედ ვისაც მშობლები აირჩევდნენ. და ქმარს მიყავდა ქალი, არა როგორც ნამდვილი მეუღლე და ცხოვრების მეგობარი, არამედ როგორც მოსამსახურე, შინაყმა და ვნებათა დამკმაყოფილებელი.

ოჯახში ქალი ხმას ვერ იღებდა, რასაც უბრძანებდა ქმარი, იგი მოვალე იყო უსიტყვოდ აესრულებინა.

კერძოთ გლეხის ქალის მდგომარეობა წარსულ საუკუნეებში კალმით აუწერელია.

ომის დროს, რაც ასე ხშირი იყო საქართველოში, ვაჟკაცები ბრძოლის ველზე იხოცებოდნენ, ქალები და ბავშვები კი მიყავდათ ათი ათასობით ტყვეთ და მეტ წილათ ჰყიდნენ სტამბოლის, ანუ ირანის ქალაქების ბაზარზე. ულამაზეს ასულთ კი ირიგებდნენ ოსმალოს ბეგები და სპარსეთის ხანები. ქართველი ქალები ამშვენებდნენ მათ ჰარამხანებს.

ამას გარდა საქართველოს მეფეები ზოგჯერ მოვალენი იყვნენ გარეშე მტრებისათვის ეძლიათ ყოველ წლიურათ ცოცხალი ხარკი: რამოდენიმე ათეული და ასეული ულამაზესი ასულნი და ყმაწვილნი. წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი საომრათ მოდიოდა. ამ რიგათ ქართველ ქალს მოსარჩლე არ ყავდა და მით უმეტეს გლეხის ქალს, რომელსაც არც შვიდობიანობის დროს ქონდა მოსვენება გარყვნილ ფეოდალებისგან და მით უმეტეს ომიანობისას.

საქართველოს მწერლები, როგორც მაგალითად შოთა რუსთაველი, სარგის თმოგველი, ჩახრუხაძე, გურამიშვილი, ბესიკი და თითქმის მე 19 საუკუნის ყველა კლასიკი, უმღერებდნენ ქალის მშვენიერებას და ღაღადებდნენ ფემინიზმის იდეალებს. ესე იგი: ქალთა გათანასწორების პრინციპს.

მაგრამ ეს პრინციპი მარტო სიმღერა—პოეზიაში რჩებოდა და კერძო ცხოვრებაში კი ქართველი ქალი უფლება მოკლებული იყო. ვერც ძველ—რუსეთთან კავშირმა უშველა საქმეს, რადგან თვით რუსეთში ქალი ყოველნაირ უფლებას იყო მოკლებული.

ვისაც სურს ცოცხლათ წარმოიდგინოს ეს მდგომარეობა და შეადაროს ამ დროსთან, უნდა გადაიკითხოს ჩვენი მწერლობა; „სურამის ციხე“, „გლახის ნაამბობი“; ალ. ყაზბეგის, ეგნატე ნინოშვილის, გიორგი წერეთელის, დავ. კლდიაშვილის, ეკატ. გაბაშვილის, ანას. ხოშტარიას, სოფ. მგალობლიშვილის, აქვს. ცაგარელის და სხვათა ნაწარმოები. აი ამ მწერალთა ნაწარმოებში ნათლათ არის დახატული ქართველი ქალის ტიპი მთელი თავის ტანჯულ ცხოვრებით და განცდით.

დღეს ქართველი მშრომელი ქალი თავისუფლია. იგი არის თანასწორი მოქალაქე და აღჭურვილია იგივე უფლებებით, როგორც მამაკაცი. ქართველ ქალს შეუძლია თავის სურვილისამებრ გათხოვდეს ან და თუ ქმარს არ შეეთვისა, კანონი უფლებას აძლევს გაეყაროს, მას აქვს უფლება ყველგან შავიდეს, სამსახურში და თავის შრომით შეიძინოს ლუკმა პური, მას აქვს თანასწორი უფლება არჩევნებში, იგი შეუძლიათ აირჩიონ დელეგატათ ან და მთავრობაში წევრათ და სხ. ასე რომ ქართველ ქალს იმნაირი უფლებები მიენიჭა, რომელიც წარსულ საუკუნის ქალს სიზმარშიაც არ მოეჩვენებოდა. ეს მისცა რევოლიუციამ ქალს. საბჭოთა სისტემამ აღჭურვა ჩვენი ქალები უფლებით და იმედია, რომ ქართველი მშრომელი ქალი შევნებულად მოიხმარს ამ უფლებებს და მოქალაქეობრივ ღირსებებით და პატიოსან შრომით არ ჩამოუვარდება რუსეთის და ევროპის მოწინავე ქალებს.

**ქართლი იმერელი.**

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ინგლისის ხარჯები მსოფლიო ომში.** ინგლისის ხაზინის კანცლერმა ბალდვინმა გამოაქვეყნა ცნობები იმის შესახებ, თუ რა დაუჯდა ინგლისს მსოფლიო ომი ოქროთ და სისხლათ. სულ ომის დროს ინგლისში გაწვეული იყო 9.496.370 კაცი (კოლონიების ჩარიცხვით). აქედან მოკლული იყო 946.023, ესე იგი 10 პროცენტი და დაჭრილი 2.121.906. რაც შეეხება ხარჯებს ოქროთი, სულ ინგლისმა დახარჯა (1919 წლის 31 მარტამდი) 9590 მილიონი გირვანქა. აქედან პირდაპირი ხარჯები დაფარული იყო 1820 მილიონი, არაპირდაპირი ხარჯებით—910 მილიონი, შინაური სესხით—5500 მილიონი და საგარეო სესხით—1360 მილიონი. ამას გარდა, მსოფლიო ომის გამო ინგლისმა შემდეგი ხარჯები გასწია: პენსიები ომის ვეტერანებს—470 მილიონი (1923 წლის 31 მარტამდი), იმ ტერიტორიის შენახვის ხარჯები, რომლებიც ინგლისს გადაეცა ხალხთა ლიგის მანდატით—153 მილიონი გირ.; უმუშევრების დახმარება, რამდენათაც უმუშევრობა მსოფლიო ომით არის გამოწვეული,—400 მილიონი და ბოლოს, 225 მილიონი დაუჯდა ინგლისს სახლების მშენებლობის დახმარება, რომელიც მსოფლიო ომის მიერ იყო გამოწვეული საბინაო კრიზისის გამო. წვრილ ხარჯებიდან აღსანიშნავია სტამბოლის ოკუპაციის ხარჯი—20 მილიონი გირვანქა.

— **რეპარაციის სტატისტიკა.** გაზეთ „ტანის“ ცნობით 1922 წელს საფრანგეთს უნდა მიეღო სხვა და სხვა ფასეულობანი 950 მილიონ ოქროს მარკისა, მაგრამ ფაქტიურათ მიიღო მხოლოდ 209 მილიონი ოქროს მარკა. ინგლისს უნდა მიეღო 146, მაგრამ მიიღო დაახლოებით 108. ბელგიას უნდა მიეღო 117, მაგრამ მიიღო დაახლოებით 66. „ტანი“ დაასკვნის, რომ საფრანგეთმა გასულ წელს მიიღო მხოლოდ ორი მეცხრედი იმისა, რის მიღების პრეტენზიის უფლებაც მას ქონდა.

## პატარა ფელეტონი.

### ჩემი „ავტოიუბილე“.

(თეზისების მაგიერ).

არ ვიცი სიტყვის ბანზე ასაგდებათ დასჭირდა, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, ერთმა ნაცნობმა სტუდენტმა შემდეგი სიტყვებით მომმართა:

„ბევრი ხუმრობა არ ვარგებულა,—დღეს სრულიად სერიოზულად განუცხადე მშობლებს, რომ უნივერსიტეტს თორმეტ წელიწადში გავათავებ მეთქი და სიცილი ასტეხეს, ხუმრობაში ჩამომართვესო“. ეს კარგი ხნის ამბავია, სანამ „ცხვრის წყარო“ დაიდგმებოდა და სწორედ რუსთველის თეატრის კარებთან იმ დროს, როცა ზემო აღნიშნული პირი ქანდარის ბილეთით ლამობდა პარტერში მოკალათებას და მეკარისაგან სასტიკი უარი მიიღო (მეკარეს ალბად შეშურდა, რომ ამ „ქანდარის ვაჟ-

ბატონს" საშვალება მიეცემოდა ყველგან დამჯდარიყო გინდ პირველ, გინდ მეოცე რიგში). სწორედ ისეთივე მდგომარეობაში ვარ ეხლა:—ვსწერ ამ წერილს და მეშინია ხუმრობაში არ ჩამომართვან.

ჩემი მდგომარეობა ბევრჯერ ავსწონ დავწონე და ამ ბოლოს გადავსწყვიტე: პოეტობას მოვკიდო ხელი.

ვგონებ არავინ შემედავება ამ დებულებაში, რომ ქართველი კაცი ან პოლიტიკოსი უნდა იყოს, ან პოეტი—ბედი რომ მქონოდა კომუნისტი ვიქნებოდი თავიდან... მაგრამ მახლას...

პოეტობა ეხლა ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე პოლიტიკოსობა, ყველასათვის ხელმისაწდომია იგი; არ სჭირდება კანდიდატობა, ვერც გამოგრიცხავენ. ერთი რამ სჭირდება: სთქვა რამ ახალი, ეს არც ისე ძნელია და ამის სიადვილეს ეხლავე დავამტკიცებ. არ არის საჭირო არც რაიკომი, არც პარტკომი, არც უპროდკომი, არც არავითარი „კომი": აიღებ და გამოაცხადებ თავს მეფეთ-მეფეთ. არის ერთი კატეგორია ხალხის, რომელიც ყველაფერს ძველს უარყოფს, თითონ არაფერს სწერს და არც არავითარი იმედია რომ დასწერს.

მე მეტი პრეტენზიები მაქვს პოეტობაზე და მოვითხოვ ვიქმნა ცნობილი პოეტათ. გეგმა წინასწარ შევადგინე... აშორდია, როგორც მოგეხსენებათ, უბრალო კაცი იყო, დაჰპირდა ხალხს აზნაურობას გაშოვნიებო და მოატყუილა. ყველა დაპირებულებს აშორდა აზნაურობა და ფული კი აშორდიას შერჩა. აი ამ პიროვნებას უმღერს გაფრინდაშვილი. მხოლოდ მე ვიცნობ ერთ ვინმეს, კომუნისტობის ბოძებას ჰპირდებოდა ხალხს და თითონ წმენდაში მოყვა (ქართულად ჩისტკაში). შევადაროთ მაშინდელი წარჩინებული წოდება და დღევანდელი კომუნისტი.

დაჰპირდე ვისმე, გაშოვნიებ კომუნისტობასო და მოატყუილო, უფრო დიდი მოტყუილება იქნება, ვიდრე აშორდიამ ჩაიდინა. დაუწყებ მას მღერას. საჭიროა ერთი ავათმყოფობა ამოიჩემო, ამასაც მოვახერხებ. სიფილისს, ჰლექს, მალიარიას ჩემი წინამორბედი პოეტები დაეპატრონენ, თითქოს მაჯობეს... ყველა ავათმყოფობა თავის დროზე გლახაა, მაგრამ ვისაც მაგარი მუცლის ტკივილი გამოუცდია, რომელსაც არც დაწოლა, არც ადგომა, არც გორვა, არც ცივი წყალი და არც ღვინო შველის,—დამეთანხმება, რომ ძნელია; და მეც დიდი პოეტი ვარ, მუცლის ტკივილის პოეტი. ვირი... კურო... მოზვერი..., კატის კნუტები—ვინლა შეეხება,—ყველას ჯვარი სწერია; ერთის იმედი მაქვს:—ყვერული ხელუხლებელი დარჩა ჩემს წინამორბედ პოეტებს და სასოებით უნდა ჩავაფრინდე კუდში, ანუ ბოლოში, როგორც გოგებაშვილი იტყოდა. ვის არ უნახავს ეზოში მოსიარულე დასაჭურისებული მამალი, ხუთჯერ მეტ რიცხვს წიწილებისას გაიყოლიებს, ვიდრე კრუხი. მართალია წიხლს ვერ გაიქნევს ვირივით, მაგრამ ქორსა და ძერას დიდ წინააღმდეგობას უწევს. თუ გასაჭურისებული მამაკაცი ჰარამხანაში ვერაფერს შველის ქალებს, ქვავდება, ბოროტდება, დასაჭურისებული ფრინველი, ყვერული, დედობრივი სიყვარულით აენთება, როცა წიწილებს საფრთხე მოელის. ქების ღირსია იგი!

ცუდი რამ არის ბრმა წელი, ის არავითარ როლს არ ასრულებს და, თუ შემთხვევით შიგ ერთი ნამცეცი საჭმელი გადავარდა, მორჩა: სიცოცხლეს ჩაგიმწარებს... ბრმა წელიც კარგი თემაა. პოეტური ინტუიცია დიდი მაქვს, შეუძლებელია ბახუსის წინ გავიარო და სასოებით პირჯვარი არ გადავიწერო. სიტყვები „ლონდა", „სალლასაი" ყველას მოსწონს თავისი სიახლით და შინაარსით, მაგრამ მე სიტყვა ღვინოს ვამჯობინებ თავისი სიძველით და შინაარსით.

ჯერი მიდგა რითმაზე. ემაგ დაბრკოლებასაც ადვილად გადავლახავ. წინეთ ასე იყო: თუ მეორე სტრიქონი თავდებოდა „ელი"-თ, მეოთხეც „ელი"-თ უნდა გათავებულიყო. ეხლა „ელის"-ით თავდება... მაინც მოსწონთ,—ახალიაო. სულ რომ არაფრით არ გათავდეს, სულ ახალი იქნება. მაგას არა უშავს, რაიმეს მოუხერხებთ. ასე რომ ყველა გასავლელი გზები წინასწარ დავზვერე. მე უკვე პოეტათ ვაცხადებ ჩემს თავს და ვსთხოვ მთავარ სახელოვნო კომიტეტს იუბილე გამიმართოს ავანსათ. პირობები ჩემს იუბილეზე ასეთი უნდა იყოს დაცული: ოცდაათი დღით ადრე შესწყდეს ტფილისში კვერცხების ყიდვა-გაყიდვა, ქანდარაზე ამსვლელებს ამოართვან კვერცხები, (თუ ასეთები მაინც აღმოაჩნდებათ); ქანდარაზე არ იყოს არც ერთი სკამი; ქანდარაზე ასვლის უფლება მიეცეს მხოლოდ მუნჯებს. ჩემს იუბილეიზე არ ჰქონდეს ადგილი ნისია მოლოცვებს და ქალებმა არ ისარგებლონ შემთხვევით და არ ჩამკოცნონ. ჩემის მხრით ეს პირობა იქნება დაცული, რომ თუ ბილეთები არ გაიყიდა, მინებს არ ჩავამტვრევ. მე სრული იმედი მაქვს პირველი იუბილე ჩემი იქნება. თუ იუბილე არ შესდგა რაიმე მიზეზის გამო, მე მაშინ უარს ვაცხადებ იუბილეზე და მოვითხოვ ჩემ დასახელებულ ყვერულს, მუცლის ტკივილს, ბრმა წელს და სხვას არავინ შეეხოს. თუ მაინც შეეხო ვინმე,—ვიწვევ კრივში. კრივის ადგილათ ამ თავითვე ვასახელებ ხელოვანთა სასახლეს და სახელმწიფო კონსერვატორიას.

ჟოკე.

## ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

**მწერალთა კავშირის წლიური საზოგადო კრება.** ხვალ, აპრილის 12-ს (საღამოს 6 საათზე) ხელოვანთა სასახლეში დანიშნულია სრ. საქ. მწერალთა კავშირის წლიური საზოგადო კრება. ყველა მწერლებს ევალება დასწრება.

**ტასო აბაშიძის ბენეფისი.** ხუთშაბათს, 12 აპრილს, რუსთველის თეატრში გაიმართება ტასო აბაშიძის ბენეფისი. ტასო აბაშიძეს კარგათ იცნობს ჩვენი საზოგადოება, როგორც ნიჭიერ მსახიობ ქალს იგი გამოდის განსაკუთრებრივ მხიარულ კომედიებში და თავის მხიარულ თამაშით არა ერთხელ გაუმხიარულებია ჩვენი საზოგადოება. მან ღირსეულათ დაიკავა ადგილი თავის დედის, ნიჭიერ მსახიობ-ქალის მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, რომელმაც გადასცა თავის ასულს მდიდარი ამპლუა. გარდა სასცენო ნიჭისა ტასო აბაშიძეს აქვს სასიამოვნო ხმა და არა ერთხელ გამოსულა ქართულ ოპერეტკებში.

აღნიშნულ საღამოს მიდის მხიარული ოპერეტკა „ნატვრის თვალი" (მასკოტა) თარ. არტემ ახნაზაროვისა. ტ. აბაშიძე შეასრულებს მთავარ როლს ნატვრის თვალს. მონაწილეობენ აგრეთვე ხორო, ბალეტი, ორკესტრი და სხ. რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. დეკორაციები სიდამონ ერისთავისა.

**სახლეხასწაული რეპერტუარი ქართულ აკადემიურ დასისა.** ხუთშაბათ 12 აპრილს რუსთველის თეატრში მიდის „ნატვრის თვალი" (მასკოტა) ბენეფისი ტასო აბაშიძისა. რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

შაბათს 14 აპრილს ამავე თეატრში მიდის პირველად ქართულ სცენაზე მსოფლიო ჰენიოს—დრამატურგის ვილიამ შექსპირის ტრაღედია „მაკბეტ". თვით მაკბეტს ასრულებს მსახიობი ალ. იმედაშვილი. ლედი მაკბეტი დამსახურებული მსახიობი ნინო ჩხეიძე, რეჟისორი მიხ. ქორელი.

კვირას 15 აპრილს უკანასკნელათ ამ სეზონში მიდის ლოპე-დე-ვეგის პიესა „ცხვრის წყარო". რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, მონაწილეობას ღებულობს მთელი დასი. აღნიშნული პიესა ამ სეზონში დაიდგა ხუთმეტჯერ.

**რუსული დრამის სეზონის გახსნა.**

რუსული დრამის სეზონი გაიხსნა ხუთშაბათს, 21 მარტს, ოსტროვსკის ცნობილი კომედიით: „მგრძნობიარე გული" (Горячее сердце). ოსტროვსკის ნაწარმოებით სეზონის გახსნა ნიშნავს იმას, რომ დრამატიულმა დასმა გადასწყვიტა პირველად ყოვლისა ემსახუროს ხელოვნებას და სურს დააკმაყოფილოს კულტურულ საზოგადოების სულიერი მოთხოვნილება, უარყოფს სამსახურს იმ აუდიტორიის ნაწილის მიმართ, რომელიც ეძებს თეატრში მხოლოდ რეალურ გართობას. სეზონის ამგვარ დასაწყისს არ შეგვიძლია სიამოვნებით არ შევეგებოთ.

ტფილისის საზოგადოების ფართო ნაწილში არ მოიძებნება ბევრი, რომელიც თაყვანს სცემდეს ოსტროვსკის შემოქმედებას, რადგან ოსტროვსკი ღებულობს სიუჟეტს თავის ნაწარმოების დიდ ნაწილისას ძველ მოსკოვის ცხოვრებიდან, სადაც მან გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე.

ძველი მოსკოვის ცხოვრებას ოსტროვსკი დეტალურად იცნობდა,—ტფილისელებისათვის კი ეს ცხოვრება სრულიად უცნობია; მიუხედავათ ამისა ოსტროვსკის შემოქმედება მუდამ პოულობს აუდიტორიას, რადგანაც მისი თხზულება არის, როგორი მოძველებულიც არ უნდა იყოს დღევანდელ მაყურებელისათვის, დიდათ მხატვრული.

ოსტროვსკის ნაწარმოებში ჩვენ ვერ ვპოულობთ უბრალო ეფფექტისადმი ლტოლვას. მისი კომედიების და დრამების გმირები გულუბრყვილო ხალხია, მათი სულიერი განცდა აგრეთვე გულუბრყვილოა, ამიტომ ოსტროვსკის ნაწარმოებში ვერ ვპოულობთ მეორე ხარისხოვან როლებს—ყოველი როლი—ტიპია ცხოვრებიდან ამოღებული და მხატვრულად გადაშლილი. ამიტომაც არის, რომ ოსტროვსკის ნაწარმოების დადგმა დიდს სიძნელეს წარმოადგენს, თუმცა პირველ შეხედვით კაცს ძალიან ადვილი ეჩვენება. მართალია, mise en scene—ადვილია, მაგრამ თვით მსახიობებისათვის თამაში კი ძალიან ძნელია.

თამამად შემიძლია ვსთქვა, რომ რუსულმა დასმა ეს სიძნელე წარმატებით სძლია.

კომედია „მგრძნობიარე გული" არ წარმოადგენს ოსტროვსკის ერთ ერთ საუკეთესო ნაწარმოებთაგანს. ზოგიერთი ეპიზოდები კომედიაში არ არიან ცხოველნი და, მართლადაც ძლიერ მოძველებულან (მაგ. ვაჭარი ხილინოვი, რომელიც ქუჩებს შამპანიურით რწყავს, ჰყავს მთელი დასი მუქთახორებისა; ეს უკანასკნელნი ღამით ეწყობიან ყაჩაღურ ტანისამოსში და აშინებენ მშვიდობიან მცხოვრებთ,—ამგვარი ველურები იშვიათი იყვნენ იმ შორეულ ეპოქაშიც, როდესაც მოქმედება სწარმოებს)—მაგრამ სხვები, როგორც არიან: ვაჭარი კურომენოვი, მისი ცოლი მატრონა, ქალიშვილი პარაშა, ახალგაზრდა ვაჭარი ვასია, გავრილო და ნარკიზი—ესენი კი მხატვრული ტიპებია.

კომედიის დადგმას დასმა მიაქცია ფრიად სერიოზული ყურადღება. როლები კარგად არის განაწილებული. Ensemble—საუცხოვოა: მოქმედება მიმდინარეობს ცოცხლად.

დიდი ტემპერამენტით ასრულებს მ-ქე ვოლხოვსკაია ახალგაზრდა ქალიშვილ პარაშას როლს; ეს უკანასკნელი პირდაპირ იხრჩვება ძველ მოსკოვის ვაჭრულ წრეში. ყველა მონოლოგებს მსახიობი ქალი ასრულებს მგძნობიარედ და გულწრფელად. მაყურებელი უცებ ჰხედავს, რომ „მგრძნობიარე გული" პარაშასი ვერ სძლებს „სამოდურების" დამყაყებულ ატმოსფერაში, სადაც სუფევს მხოლოდ გრძნობათა სიდამბლე და გარყვნილება.

ძალიან კარგია მ-ქე ნიროვი მუდამ მთვრალ ვაჭარ კურომენოვის როლში. ამ როლში ადვილი არის შარჟში ჩავარდნა, მაგრამ ნიროვი არ გასცილებია კომედიურ თამაშის ჩარჩოებს. კარგად დაგვისურათა ბოროტ, გარყვნილ ვაჭარის ცოლი მოქ. სმირნოვამ

მოქ. ბრიანსკიმ სწორედ გადაგვიშალა „სამოდურ" ვაჭარ ხილინოვის როლი; აქაც ადვილია შარჟში ჩავარდნა, მაგრამ მოქ. ბრიანსკი ამ სიძნელეს თავიდან იშორებს.

მოქ. დავიდოვსკი იძლევა ფრიად დამახასიათებელ ტიპს ალფონსისას—რომელიც არის ნოქარი და იმავე დროს ექსპლოატაციას უშვრება თავის საყვარელს მატრონეს.

კარგად ასრულებს მოქ. მარგარიტოვი სუსტი ნების-ყოფის და წვრიმალ ადამიანის ვაჭარ ვასიას როლს.

კარგად დაახასიათა მ-ქე სმირნოვმა არისტარხი, რომელიც პირდაპირ ეუბნება სიმართლეს ვაჭარს ხილინოვს, რისთვისაც, შესაძლებელი, ის გაგდებული ყოფილიყო სახლიდან.

მოქ. კოლომენმა სწორედ [illegible] სილანის როლი. მან მოგვცა კარგი [illegible] და რეალური გამოხატულება.

„გოროდნიჩის" და „ბატონის" როლები იმდენად უსიცოცხლოა, რომ მსახიობს ძლიერ უჭირს მათი ტონის აღება. მოქ. კრუჩინინმა („გოროდნიჩი") და ერანოვმა („ბატონი") გვიჩვენეს ყველაფერი, რის ჩვენებაც შეიძლებოდა ამ ტიპებიდან.

სრულებით არ შემიძლია დავეთანხმო მოქ. ეგიაზაროვს გავრილას როლის ახსნა განმარტებაში, გავრილა არის ახალგაზრდა იდეალისტი, რომლის სულს ჯერ არ შეხებია ცხოვრების სიბინძურე. მას წმინდა გრძნობით უყვარს პარაშა და საყვარელის გულისათვის მზათაა თავისი თავი მსხვერპლადაც მიიტანოს. მოქ. ეგიაზაროვი კი თავიდანვე ღებულობს ყალბ ტონს, მან მთელი პიესის განმავლობაში ვერ მისწვდა გავრილას ძირითად ხასიათს.

ამ დიდებულ დადგმასთან ერთად საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე ოსტროვსკის მრავალ სახეობრივმა და მუსიკალურმა ენამ.

მარჯანიშვილის დადგმამ დასტოვა რეალური შთაბეჭდილება იმდენად, რამდენად შესაძლებელი იყო და ნებას იძლეოდა რესურსები და სცენის სიდიდე.

პ. ზებუთოვი.

## მთავრობის ბრძანებანი და განკარგულებანი

### დეკრეტი

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოსი.

საქართველოს საადგილ-მამულო ბანკებში და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებაში დაგირავებული—საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქებში მდებარე სახლები გამო საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 28-ს თარიღითა და 16 №-ით გამოცემული დეკრეტის შეცვლისა და დამატების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. მე 16 №-ით გამოცემული დეკრეტის 1, 2, 4, 5 და 6 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგის რედაქციით:

მუხლი 1.—დაგირავებულ სახლზე არსებული ვალი,—გამოანგარიშებული ოქროს კურსის მიხედვით,—გადახდილ უნდა იქნეს მსესხებლის მიერ ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1923 წლ. ივნისის 1-დან.

მუხ. 2.—ვალის რაოდენობა განისაზღვროს თავნი ვალის იმ ნაშთით, რაც ირიცხებოდა მსესხებელზე 1921 წ. ივნისის 30 ს. ამასთანავე:

ა. მე 3 მუხ. თანახმად გადასახდელი ვალი იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1914 წ. სექტემბრის 1-დან 1917 წ. მარტის 1-დე—მსოფლიო ომის დროს,—შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც და

ბ. თავნი ვალის რაოდენობა იმ სესხისა, რომელიც გაცემულია 1917 წლ. მარტის 1-დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღემდე,—უნდა განისაზღვროს აღნიშნული 1921 წ. ივნისის 30 ს სესხის გაცემის ნახევარ-წლის პერიოდში არსებული ოქროს მანეთიანის საშუალო კურსის მიხედვით. ამ კურსს აწესებს ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისრის რწმუნებული საქართველოში თვითეული ნახევარ-წლისათვის ცალკე.

მუხ. 4. უკეთუ მსესხებელს,—ქონების მდგომარეობისა და შემოსავლობის გამო,—არ ძალუძს ვალის გადახდა, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარს რწმუნებულს საქართველოში უფლება ეძლევა,—მუშათა და გლეხთა ინსპექციის თანხმობით,—შეამციროს ეს ვალი (მუხ. 2 და 3) ერთბაშად ან ცალკე თვითეული სანახევარწლო გადასახადი 50 პროც.-დე,—იმის და მიუხედავად როდის არის ქონება დაგირავებული.

მუხ. 5. გადასახადად აღრიცხული ვალი დაყოფილ უნდა იქნეს ათ ნაწილად. პირველი ნაწილის გადახდის ვადად დაინიშნოს 1923 წ. ივნისის 1-ლი, მეორე ნაწილისა—1923 წ. დეკემბრის 1-ლი და შემდეგ ამავე წესით.

მუხ. 6. უკეთუ მსესხებელი მოისურვებს—ვადამდე გადაიხადოს მასზე მირიცხული ვალი (მუხ. 2, 3 და 4)—ეს ვალი შემცირებულ უნდა იქნეს 20 პროც.-ით.

II. დეკრეტი ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე.**

1923 წ. მარტის 30

ტფილისი—სასახლე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 8

მოსკოვიდან ჩემ დაბრუნებამდე ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთ ინიშნება ამხ. ა. **გეგეჭკორი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

**შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი

**ალ. ხალარიძე.**

1323 წ. აპრილის 7.

ტფილისი—სასახლე.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ ჩემი განცხადება:

დიდი რევოლიუციის შემდეგ მე ვმუშაობდი სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, სადაც 1918 წელში თავი იჩინა განხეთქილებამ, სრული ჩემი შეგნებით მე მივემხრე მემარცხენე ფრთას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ოჯახური და კერძო მდგომარეობის გამო საშუალება არ მქონდა მემუშავნა ჩამოყალიბებულ ორგანიზაციაში. ხოლო დღეს კი მსურს ვიმუშაო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში, რომელიც მტკიცედ იცავს ერისა და მშრომელთა ინტერესებს.

**პავლე ბეხარიონის ძე ბახტურიძე.**

რედაქტორი—სარედიქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.


**კურორტთა მთავარი სამმართველო**

კურორტთა მთავარი სამმართველო ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს და სახელმწ. დაწესებულებებს, რომ შუა და ქვე აბასთუმანში კურორტთა სამმართველოს აქვს

**რამდენიმე თავისუფალი აგარაკი**

რომელიც მოითხოვს შეკეთებას (ზოგი დიდს), აღნიშნული აგარაკები შეიძლება გაიცეს იჯარით, საჭირო რემონტის მოხდენის პირობით.

ორგანიზაციები და სახელმწიფო დაწესებულებები ვალდებულნი არიან განაცხადონ სურვილი აგარაკების იჯარით აღებისა კურორტთა მთავარ სამმართველოში (საპიორის ქუჩა № 30) არა უგვიანეს ა. წ. 15 აპრილ., რის შემდეგაც აგარაკები გაცემულ იქნება კერძო პირებზედ იჯარით, სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებთან უპირატესობა მიეცემა ყოფილ მესაკუთრეთ.

№ 315—3—2


ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 181. საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.